პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 იანვარი კვირა 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 11 (15832)

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ 1974 წელს სოფლის მეურნეობის მუშაკები უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოებისა და საახელმწიფოსათვის მიუიდვის გაზრდისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

1974 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გაზრდისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სოფლის მშრომელების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეულის და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გაზრდისათვის, რომელიც 1973 წელს გაიშალა, გადაიქცა ფართო მოძრაობად იმ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ XXIV კრებამ დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მისი ეფექტიანობის გაზრდების. ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების დარგში. შეჯიბრება გამოირჩეოდა მასობრიობით, საქმისადმი აქტიური მიდგომით, წარმოებაში მეცნიერების მოწინავე გამოცდილების აქტიური დანერგვით და კარგი შედეგებიც მოგვცა. ჩვენს ქვეყანაში მიღებულია მარცვლეულისა და ბამბის რეკორდული მოსავალი, გადაჭარბებით შესრულდა მათი შესყიდვის სახელმწიფო გეგმები. გაიზარდა შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სხვა კულტურების, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა წარმატებები დიდმნიშვნელოვანი წვლილია სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებაში, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ისინი შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ თანმიმდევრულად ხორციელდებოდა პარტიის კურსი — სოფლის მეურნეობის ყოველი ღონისძიებით ინტენსიფიკაციის კურსი. ეს იყო კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკების, სპეციალისტების, აგრეთვე ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგი. ეს არის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა და დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპს. მიმდინარე წელს არათუ უნდა განვამტკიცოთ, არამედ აგრეთვე გადავაჭარბოთ 1973 წელს მიღწეულ შედეგებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი 1973 წლის შედეგებთან და ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის ამოცანებთან დაკავშირებით მხურვალედ გამოეხმაურა სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი. ამ მიმართვის პასუხად მოწინავე კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ისახავენ ახალ მაღალ მიჯნებს. შრომითი კოლექტივები იმუშავებენ და ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი იზტენსიფიკაციის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების, მიწის, სასუქების, ტექნიკისა და სხვა მატერიალური რესურსების უკეთ გამოყენების ღონისძიებებს. უმჯობესდება სათესი ფართობების სტრუქტურა, ვლინდება სამარცვლე ნაკვეთის გაფართოების შესაძლებლობანი, ხორციელდება პირუტყვის ორგანიზებული გამოზამთრებისა და საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის სანიმუშოდ მომზადების ღონისძიებანი.

იწონებენ და მხარს უჭერენ რა შრომელთა ინიციატივას, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

იმ დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომელიც აქვს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გაზრდების 1974 წლისათვის დადგენილ დავალებათა წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების, როგორც მძლავრი მოძრაობის, შემდგომ განვითარებას, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გაშალონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რათა შეჯიბრებაში ჩაბან სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი, მათი მთავარი ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველნაირად გადიდებას, არსებული რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების დაზოგვას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მთავარი უნდა იყოს მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გადიდება, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდა, თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, რაიონის, ოკრუგის, ოლქის, მხარის, რესპუბლიკის მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუოდ, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, წარმოების ეკონომიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესება.

დადგინდეს, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ცნობენ იმ საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებს, ეროვნულ ოკრუგებს, რაიონებს, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეოთაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, განყოფილებების, უბნების, ბრიგადების, ფერმებისა და რგოლების კოლექტივებს, რომლებიც მიაღწევენ წარმოების ზრდისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, ჩაის ფოთლის, ზეთოვანი კულტურების, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების, საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა. და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შემდგომი გადიდებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების, ეროვნული ოკრუგების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად დაწესდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 930 გარდამავალი წითელი დროშა დიპლომებითა და ფულადი პრემიებით, აქედან:

— რაიონებისა და ეროვნული ოკრუგებისათვის — 230 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები 5-დან 15 ათას მანეთამდე,

— კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, სამეურნეოთაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის — 686, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემისა — 12, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემისა — 2 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები.

საკსოფლტექნიკის, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 42 გარდამავალი წითელი დროშა დიპლომებითა და ფულადი პრემიებით, აქედან: საკსოფლტექნიკისათვის — 12, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის — 10, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსათვის — 14, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისათვის — 6 გარდამავალი წითელი დროშა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ, საკსოფლტექნიკამ, სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, აგრეთვე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა სისტემაში შედის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, დადგენილი წესით დაწესონ სამინისტროებისა და უწყებების და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები, აგრეთვე განსაზღვრონ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების მატერიალური წახალისების ღონისძიებანი.

ძალაში დარჩეს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების კვარტალურად ან ნახევარ წელიწადში ერთხელ შეჯამებისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი საწარმოებისათვის), სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, საკსოფლტექნიკის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის, სახელმწიფო კომიტეტის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის სამინისტროების, უწყებებისა და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების მოქმედი წესი.

დადგინდეს, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშების მინიჭება კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რაიონებისათვის, ეროვნული ოკრუგებისათვის ამ დადგენილების შესაბამისად ხდება ერთი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით.

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარებისა და იმ განყოფილებების, უბნების, ბრიგადების, რგოლებისა და მეცხოველეობის ფერმების კოლექტივების წახალისების მიზნით, რომლებმაც რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, რაიონში მიაღწიეს საუკეთესო შედეგებს მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვაში და ამ საფუძველზე უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გადიდება, შეამცირეს შრომის დანახარჯები, პროდუქციის თვითღირებულება და გაუმჯობესეს მისი ხარისხი, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტრაქტორისტ-მემანქანეების, კომბაინების, მძღოლების, სარძევე და სახორცე მეცხოველეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმების მუშაკების, მწყემსთა ბრიგადების, მებამბეების, მეკარტოფილეების, მებოსტნეების, მებაღეების, მევენახეების, მეჩაიეების, მესელეების, აგრეთვე სხვა წამყვან პროფესიათა მუშაკების შეჯიბრებაში, დაწესდეს სამინისტროებისა (უწყებების) და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების საპატიო დიპლომები.

დადგინდეს, რომ საწარმოო ქვეგანაყოფების კოლექტივებსა და პროფესიის მიხედვით შეჯიბრების გამარჯვებულებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან საპატიო დიპლომით, გადაეცეთ სახელობითი სამახსოვრო საჩუქრები.

დადგინდეს, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებმაც მიაღწიეს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჯილდოვდებიან ერთიანი საერთო საკავშირო სამკერდე ნიშნით „1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული“. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი დავალება, ჯილდოვდებიან სამკერდე ნიშნით „მეცხრე ხუთწლედის დამკვრელი“ და სახელობითი სამახსოვრო საჩუქრით. გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნული სამკერდე ნიშნით დაჯილდოების შესახებ იღებენ შესაბამისი სამინისტრო (უწყება) და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დაწესდეს სრულიად საკავშირო საპატიო დაფა, რომელზეც უნდა შეიტანონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეოთაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა ის კოლექტივები, რომლებმაც მეცხრე ხუთწლედში მიაღწიეს უმაღლეს საწარმოო მაჩვენებლებს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოეწყოს ამ კოლექტივების მუშაობის გამოცდილების ფართო ჩვენება და პროპაგანდა.

გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებული ეროვნული ოკრუგების, რაიონების, კოლმეურნეობების, სამეურნეოთაშორისო საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ფულადი პრემიების გადახდა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა პრემიებისა — მოგებისა თუ ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე. სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ფერმების, ბრიგადების, რგოლების კოლექტივებისა და წარმოების მოწინავეთა პრემირება სახელობითი სამახსოვრო საჩუქრებით ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე გაგრძელდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების მოქმედება, რომლის თანახმად სამინისტროებს შეუძლიათ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა პრემიების გადასახდელად სახსრების რაოდენობა გაზარდონ ხელფასის საერთო ფონდის 0,05-დან 0,1 პროცენტამდე.

ნება დაერთოს საკავშირო რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს:

— ორდენებით დაჯილდოებისათვის წარადგინონ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებმაც მეცხრე ხუთწლედის დავალებანი შეასრულეს 4 წელიწადში და გადაჭარბებით შეასრულეს 1974 წლის გეგმები:

— სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარადგინონ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების, სატრანსპორტო, დამამზადებელი და სხვა სახელმწიფო და სამეურნეოთაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშები და მოსამსახურეები, რომლებმაც მიაღწიეს საუკეთესო შედეგებს და შრომითი მამაცობა გამოიჩინეს შრომის ნაყოფიერების ზრდის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების დარგში 1974 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საკსოფლტექნიკას, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს შეიმუშაონ და 1974-1975 წლების მანძილზე განახორციელონ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეოთაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და დანერგვის კონკრეტული პროგრამა. უზრუნველყონ ამ გამოცდილების ფართო პროპაგანდა. განავითარონ და განამტკიცონ საწარმოო კოლექტივების თანამეგობრობა სამეცნიერო დაწესებულებებთან, რათა უფრო აქტიურად დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, უახლესი ტექნოლოგიები და შრომის თანამედროვე მეთოდები.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რედაქციებმა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის მშრომელთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის ფართოდ გაშუქება. ყოველმხრივ აჩვენონ იმ მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილება, რომლებიც მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ მემინდურეობაში, მეცხოველეობასა და სხვა დარგებში, უნარიანად იყენებენ ტექნიკას, ამცირებენ პროდუქციის ერთეულზე შრომისა და მატერიალური სახსრების დანახარჯებს, უფრო სრულად აჩვენონ შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტაში სპეციალისტთა, როგორც სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მისი ინტენსიფიკაციის ორგანიზატორთა, ტექნოლოგთა, გამტარებელთა როლი. პროპაგანდა გაუწიონ სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას, მათს წამყვან როლს მასების პოლიტიკურ აზრდაში, თვითეული კოლექტივის, თვითეული სოფლის მშრომელის მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფაში.

• • •

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ 1974 წელს სოფლის მეურნეობის მუშაკები უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის, გადიდებისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

განვაგრძოთ შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე წელს ლოზუნგით — გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

მიმდინარე წელს არა თუ უნდა განვამტკიცოთ, არამედ აგრეთვე გადავაჭარბოთ 1973 წელს მიღწეულ შედეგებს.

წარმატებული გასვლისაკენ წარმოებაში - ტექნიკურ-ეკონომიკური ამოცანა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია. ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას, ხუთწლედის მეოთხე წელი აღნიშნონ ახალი წარმატებებით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, თბილისელები პირველი დღეებიდანვე უპასუხებენ დამავრელური შრომით. წარსულში მოპოვებული წარმატებების განმტკიცებითა და შემდგომი განვითარებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ 1974 წლის სახელმწიფო გეგმის დავალებები დაძაბული და მეტად პასუხსაგებია. მაჯრამ ყველაზე დეტალური გეგმა მთლიანად ვერ გაითვალისწინებს სოციალისტური ეკონომიკის ყველა უმდიდრეს რეზერვს, რომელთა დამატებითი გამოვლინება და გამოყენება შესაძლებელია საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომით, ინიციატივის ფართოდ განვითარებით, თვითეული კოლექტივის, თვითეული მუშაკის ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაოოებით. ხუთ ულეთ ვიდუშაოთ, ვიდრე დღეს. გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით — აი რას მოჰვაწოდებს დღეს პარტია. ამ მოთხოვნას მთლიანად შეეხამება მასების ინიციატივის ისეთი ქმედითი ფორმა, როგორიც არის შემზადური გეგმების, ახალი მაღალი სოციალისტური ვალდებულებების შემუშავება, მიღება და შესრულება.

ამაზე ითქვა 10 იანვარს გამართულ თბილისის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის კრებაზე. კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. გილაშვილმა. კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაესის რაიკომის პირველი მდივანი ო. ივანაშვილი, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორი პ. ბუაძე, დამტკრეთის სახელობის საავიაციო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. რედიუხინი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი მ. ხარაძე, კამოო-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თაობაშემწე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ძმაშვილი, „მთავართბილისმშენის“ უფროსი ბ. ზაბუშვილი, „თბილგასტრონომის“ № 31 მაოაზიის კომპავშირული ორგანიზაციის მდივანი რ. ედიშერაშვილი.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ თბილისის მრეწველობამ შარშან წლიური გეგმა შესრულა სოციალისტური ვალდებულებით დადგენილ ვადაზე ორი დღით ადრე — 23 დეკემბრისათვის. პირველად დიდი ხნის მანძილზე შესრულეს წლიური გეგმა მშენებლებმა. ქალაქის ეკონომიკისა და კულტურის სხვა დარგებშიც მიღწეულია წარმატებები. რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტები, მშრომელები თავლნათლივ ხედავენ ამაში მათ მიერ მოწონებული ინ ონონსძიებების პირველ შედეგებს, რომლებსაც ახორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. თბილისელთა ცხოვრების ყველა მხარეზე კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

მაგრამ იმისთვის, რომ განვახორციელოთ ამოცანები, რომლებიც დაგვისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, საჭიროა, აღნიშნაგდნენ კრების მონაწილეები, ღრმად გავაანალიზოთ ჩვენი მუშაობის ყველა მხარე და გამოვავლინოთ არსებული ნაკლოვანებანი, არსებული რეზერვების გათვალისწინებით მივაღწიოთ კიდევ მეტ მნიშვნელოვან წარმატებებს ახლო მომავალში. კრებამ განიხილა და მიიღო თბილისის მშრომელთა 1974 წლისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულების სოციალისტური ვალდებულებანი.

ეს ვალდებულებანი, კერძოდ, ითვალისწინებენ ქალაქის მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური სახელმწიფო გეგმის შესრულებას 25 დეკემბრისათვის. წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით დაანაღდებენ 26 მილიონი მანეთის პროდუქციას. ხუთწლედის მეხუთე წლის სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის დაგალებანი გადაჭარბილია შესრულდეს 1975 წლის 25 დეკემბრისათვის. შრომის ნაყოფიერების ზრდით მიღწეულ იქნას პროდუქციის მატება სულ ცოტა 80 პროცენტით.

სახავენ ახალ მიჯნებს

ქალაქ თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

„საქსოფლტექნიკის“ ხაშურის რაიონული განყოფილების კოლექტივმა წარმატებით შეასრულა 1973 წლის პროგრამა, განიხილა საგარეჯოელი მექანიზატორების წამოწყება და ხუთწლედის მეოთხე წლისათვის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები აიღო. გადაწყვეტილია შეკეთდეს ყველა ხახის ტრაქტორები, კულტივატორები და გუთნები ვადამდე — 20 მარტისათვის, ხოლო მარცვლის ასაღები კომბაინები — 25 მაისისათვის.

პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხოდ მექანიზატორებმა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე სარემონტო სამუშაოებისათვის მაღალი ტემპი აიღეს.

სურათზე: „საქსოფლტექნიკის“ ხაშურის რაიონული განყოფილების სარემონტო სახელოსნოს გამგე ელგუჯა კუხიანიძე (მარცხნივ) და ზეინკალ-შემკეთებელი ნოდარ გასიაშვილი მუშაობის დროს.

ფ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვაშენოთ

უფრო სწრაფად, უკეთ, ნაკლები დანახარჯებით

ხაკართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლეგიუმი, რომელიც ჩაუბა სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, 1973 წელს მაღალ საწარმოო შედეგებს მიაღწია.

ვადამდე შესრულდა მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სადგომების, მეფრინველეობის ფაბრიკების, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები, ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მაძი ხარისხი, აჯერთვე გეგმები საიჯარო სამუშაოთა მოცულობისა და სხვა მაჩვენებლების შესრულებაში. რეპუბლიკის სასოფლო მშენებლობი დღენიადაგ მუშაობენ, რათა სისტემატურად გამოავლინონ და გამოიყენონ წარმოების რეზერვები, დაიცვან ასაწყობი კონსტრუქციები, ეკონომიურად ხარჯონ შრომითი და მატერიალური რესურსები, თავი მოუყარონ მათ ასამშენებელი ობიექტებზე, ამამაღლონ მშენებლობის ტექნიკური დონე და საწარმოო პროცესების მიძანაზაცია. დანერგონ მუშაობის მოწინავე მეთოდები და შრომის ანაზღაურების პროგრესული სისტემები.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაობამ ოა მოსამსახურეებმა ვასულ წელს ჩინებული მუშაობის შედეგად მოამზადეს 1974-მეცხრე ხუთწლედის განსაზღვრული წლის სამშენაოთა რიგმოული და თანამემდეგრული ბარძილების პირობები. ისეთი როგორც შარშან, ისინი ისევნენ სსრ ავაშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში სოციალისტურ ვალდებულებათა ბრიგადის ინიციატორები. ისინი რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველნი ჩაებნენ პატრიოტულ მეძალაკეობაში 1974 წლის შემხვედრი გეგმების მოლებისათვის.

საკავშირო სამინისტროს და მშენებლობისა და საშინ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონის ქართველი მშენებლებისა მიერ ნაკლისი სოციალისტური ვალდებულებანი მიმდინარე წლისათვის და სიხარბის ორგანიზაციებისა და საწარმოების კოლეგიტიებს ურჩიეს მიბაძონ მათს მაგალითს.

ეს სოციალისტური ვალდებულებანი ითვალისწინებენ, რომ ხაიჯარო საშუაოოა ფლიური გეგმა შესრულონ 25 დეკემბრისათვის, ამცირეველო პროდუქციის რეალიზაციისა — 28 დეკემბრისათვის. სრული ოპერაციები მეშენებლობის ოდეულობა 1973 წელთან შედარებით გაადიდონ 43 პროცენტით.

მშენებლებმა ვადაწყვეტის მთლიანად დაიცვან ასაწყობი სამონტაჟო კონსტრუქციები და დაზოგონ მატერიალური რესურსები — 2,1 ათასი ტონა ცემენტი, 700 ტონა ლითონი, 2,4 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე, 4,1 ათასი კუბურკატული მეტრი მინა.

ბპირებენ საექსპლოატაციოდ გადასცენ მეცხოველეობის სადგომები — ზუსტად დადგენილ ვადებში, ხოლო თუ სამუშაოთა სრულ დამთავრებას ვავითვალისწინებთ — პირუტყვის მოვლა-პატრონობის ბაგური პერიოდის დამდეგისათვის. გეგმით გათვალისწინებულ ვადებზე მნიშვნელოვნად ადრე აამოქმედებენ ბიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსის სიმძლავრეებს, სოფელ ბამარჯვების მეფრინველეობის მეორე რიგსა და ოჩამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკას, ბოსტნეულ-კარტოფილ-ხილეგენ, კრწანისის სასათბურო კომბინატის დამატებით სიმძლავრეებს, მარნეულის დიდი საკიდლე ბოლკების ქარხანასა და სხვა ობიექტებს. ახალი წლის დამოგზისათვის მწყობრში ჩადგება მშენებარე სკოლები.

ვალდებულებებში ლაპარაკია საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. ვადაწყვეტა ხაექსპლოატაციოდ ვადასვინ ობიექტების სულ ეოტა 80 პროცენტი „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით.

დასახულია გადაჭარბებით შასრულონ სულ ეოტა 0.5 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ვადიდების წლიური დავალება, 4 პროცენტით ვაზარდონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება ძირითადი საწარმოო ფონდების ყოველ მანეთზე, მრეწველობაში ბრიგადულ-ბრიგადიერის გამოშვება კი — 3 პროცენტით და ეს.

ჭველა ეს ვადიდებული სოციალისტური ვალდებულება შესრულდება იმ აზრით, რომ ეიდეე ეორო ვაკაშვიბესებენ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში სოციალისტურ ვალდებულებათა ბრიგადები ინიციატორები. ისინი რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველნი ჩაებნენ პატრიოტულ მეძალაკეობაში 1974 წლის შემხვედრი გეგმების მოლებისათვის.

საკავშირო სამინისტროს და მშენებლობისა და საშინ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონის ქართველი მშენებლებისა მიერ ნაკლისი სოციალისტური ვალდებულებანი მომდინარე წლისათვის და სიხარბის ორგანიზაციებისა და საწარმოების კოლეგიტიებს ურჩიეს მიბაძონ მათს მაგალითს.

ეს სოციალისტური ვალდებულებანი ითვალისწინებენ, რომ საიჯარო სამუშაოოა ფლიური გეგმა შესრულონ 25 დეკემბრისათვის, აამცირეველო პროდუქციის რეალიზაციისა — 28 დეკემბრისათვის. სრული ოპერაციები მშენებლობის ოდეულობა 1973 წელთან შედარებით გაადიდონ 43 პროცენტით.

მშენებლებმა ვადაწყვეტის მთლიანად დაიცვან ასაწყობი სამონტაჟო კონსტრუქციები და დაზოგონ მატერიალური რესურსები.

დასაძლევი უღელვეხილი

ყაზბეგის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

საქართველოს ყველა რაიონს აქვს გარკვეული თავისებურება და მისთვის დამახასიათებელი პრობლემების წინაშე დგას. ყაზბეგისათვის ეს გამოიხატება არა მარტო იმით, რომ ზამთარში ჭალის ეღელტეხილი თოვლით არის დაფარული და რაიონი თითქმის მოწყვეტილია ბარის საქართველოს. როგორი ტემპებით ვითარდება ეკონომიკა, რა ნაკლოვანებები იყო ხუთწლედის გადამწყვეტ წელს სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობაში, რა პრაქტიკული საქმეებით ენდა ვუპასუხოთ ხალხის ინტერესებისათვის პარტიის დაეცხრომელ ზრუნვას? — აი კითხვები, რომლებიც მოითხოვენ პასუხს და განსაზღვრავენ პარტიული ორგანიზაციების სამოქმედო პროგრამას.

ყოველივე ამის შესახებ საქმიანად და გულახდილად ითქვა პარტიის ყაზბეგის რაიონული ორგანიზაციის XXV კონფერენციაზე. საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც რაიკომის პირველმა მდივანმა ე. ყავკასიძემ გააკეთა, და მოკამათეთა გამოსვლებში იკრძნობოდა დიდი პასუხისმგებლობა არსებული ვითარების სწორად შეფასებისათვის, გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებისათვის.

ბუნებრივია, მთავარი ყურადღება დაეთმო რაიონის ეკონომიკის ძირითად დარგს — მეცხვარეობას. 1973 წელს კოლმეურნეობებ ი ს ფერმებში უნდა ჰყოლოდათ 110.500 სული ცხვარი, ფაქტიურად წლის ბოლოსათვის ჰყავდათ 107.545, რაც გეგმის 97,3 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ სნოს ლენინის სახელობისა და კობის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებს, რომლებმაც შესაბამისად გეგმა შეასრულეს 90,1 და 97,1 პროცენტით.

ხუთწლედის გადამწყვეტი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და მოწინავე კოლექტივების მიღწევები მოწმობენ, რომ საერთო ჩამორჩენა ძირითადად განპირობებულ სუბიექტურმა ფაქტორებმა, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მოუქნელმა მუშაობამ.

მეცხვარეობის ფერმებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა სოფელ სიონის ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ფერმამ, რომელსაც ვ. ავსაჯანიშვილი ხელმძღვანელობს, ყოველი ასი სული ნირბისაგან მიიღო და შეინარჩუნა 98 ბატკანი, ნაცვლად გეგმიური 85 და ვალდებულებით გათვალისწინებული 96 სულისა. საშუალოდ ერთ ცხვარს ჩამპარსეს 2,8 კილოგრამი მატყლი, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს წინა წლის მაჩვენებელს.

სიონის კოლმეურნეობის თითქმის ყველა ბრიგადამ შეასრულა რეგორც ნამატის შენარჩუნების, ისე მატყლის პარსვის გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, რაც ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობის მაღალმა დონემ განაპირობა. როგორც ,ამათში გამოსულმა კოლმეურნეობის პარტიბიუროს მდივანმა შ. სულიაოურმა თქვა, შედეგები უკეთესი იქნებოდა ყველა ბრიგადასა და მშრომელს მთელი მონდომებით რომ ემუშავათ, სრულად გამოეყენებინათ არსებული რეზერვები.

თუ ეს სწორი შენიშვნაა მოწინავე კოლმეურნეობის მისამართით, მაშინ რაღა გვეთქმის ჩამორჩენილებზე, რომლებიც ფლანგავენ მდიდარ შესაძლებლობებს, ფორმალურად ეკიდებიან სოციალისტურ შეჯიბრებას?

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სნოსა და კობის კოლმეურნეობებში. სნოელებმა შარშან შეინარჩუნეს 500 ბატკანით ნაკლები 1972 წელთან შედარებით, კობელებმა — 278 სულით ნაკლები.

სერიოზული ნაკლოვანებებია პირუტყვის მოვლა-პატრონობაში, რის შედეგადაც შარშან რაიონში ცხვრის სიკვდილიანობამ ეკვსი პროცენტი შეადგინა. ამის ძირითადი მიზეზებია ის, რომ სათანადოდ არ ზრუნავენ მეცხოველეობის შტაკიკი საკვებ.ბაზის შექმნისათვის, ზოოვეტერინარული სამსახურის ,ვიმუშაობესებისათვის. ზოგჯერ დაგვიანებით და უხარისხოდ ანდენენ ცხვრის დამუშავებას, მოისუსტებს დაავადებათა პროფილაქტიკისათვის ზრუნვა, აკლიათ ავადმყოფი ცხვრები. ბევრ ადგილას ,ფერმებში ,ზოოტექნიკოსი ვ. ფირანიშვილი და მთავარი ვეტექიმი ი. წიკლაური.

ჭარავანი ყურადღება არ ეთმობა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, როგორც ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების მძლავრ ფაქტორს. 1972 წელს ზოგან ცხვრის დიდი დანაკლისი ჰქონდათ, მაგრამ სამეურნეო დისციპლინის ბევრი დამრღვევი და დამნაშავე კი დღესაც დაუსჯელია, რაც ადმინისტრაციული ორგანოების სუსტ მუშაობაზე მეტყველებს.

აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებისა და უკონტროლობის ვითარებაში ფართო გასაქანი ჰპოვა ეკრძმესაკუთრულმა ტენდენციებმა. ბევრი გაურბის საკოლმეურნეო შრომას, სარგებლობს სოფლის სიავით, მაგრამ თავს არ იწუხებს შრომადღეების საკალდებულო მინიმუმის გამომუშავებისათვის.

ამჟამად ყიზლარში ჩვენი რესპუბლიკის 525 ათასი სული ცხვარი და თხა ეზამთრებს, აქედან 190 ათასი ყაზბეგის რაიონისაა. დაბა კობრეთში არსებული 13 დაწესებულება და ორგანიზაცია, კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები აუმჯობესებენ მუშაობას ცხვრის გადაყვანისა და გამოზამთრებისათვის. მაგრამ საზამთრო საძოვრებზე ბევრი რამ კვლავ მოუგვარებელია. ყიზლარის სამინჭონა-სტრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. პეშკოვმა, ყაზბეგის კოლმეურნეობის მწყემსმა ა. წიკლაურმა, სოფელ კობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ხ. ბატაევმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ არსებითად უნდა გარდაიქმნას მუშაობა მეცხოველეობის საკვები ბაზის განსამტკიცებლად, ახალი თარეხებისა და სამბატკნეების ასაშენებლად, დოლის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

რაიონში ორადამაკმაყოფილებელია მოსახლეობის კეთილმოსაზრეობა ეკონომიკურ საკითხებზე. ეს ,ეკონომიკა, ,ეკონომიკა, ,ეკონომიკა —

შეხვედრათა ერთიანობა

სსრ კავშირში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრიდეშ პუიას ვიზიტის შესახებ

9-10 იანვარს სსრ კავშირში როგორც საბჭოთა მთავრობის სტუმარი, ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი **ფრიდეშ პუია.**

ამხ. ფ. პუია მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს **ა. ა. გრომიკოსა** და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ფ. პუიას შორის გაიმართა შეხვედრები და საუბრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ნ. ნ. როდიონოვი,** სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში **ვ. ი. პავლოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები **ნ. ნ. სიკაჩოვი** და **ვ. ნ. სოფინსკი;** უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **დ. რაპაი,** უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები **ტ. მატუშეკი** და **ი. ტოტი.**

საუბრების დროს, რომელიც სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ გულთბილობისა და სრული ამხანაგური ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, მინისტრებმა განიხილეს ორი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის საკითხები. ამასთან გამოთქვეს დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მჭიდრო მეგობრობა, ყოველმხრივ, განუწყვეტლივ მზარდი თანამშრომლობა ნაყოფიერად ვითარდება ყველა დარგში სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე და სავსებით შეესაბამება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას, რომელიც ბუდაპეშტში დაიდო 1967 წლის 7 სექტემბერს. საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობების წარმატებული განვითარება შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს, ხელს უწყობს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მორგი ამოცანების გადაწყვეტას, სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერების განმტკიცებას სამშეს.

მხარეებმა გამოთქვეს აზრი, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაღრმავდეს ეკონომიური თანამშრომლობა ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, გაიტიურდეს მეცადინეობა სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელების საქმეში.

მინისტრებმა ხაზი გაუსვეს რომ სოციალისტური ქვეყნების შეთანხმებული მოქმედება საერთაშორისო ასპარეზზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომ ჩაღრმავებას, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

მოლაპარაკების დროს უნგრეთის მხარემ აღნიშნა საბჭოთა კავშირის ლენინური პოლიტიკის, სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული მშვიდობის პროგრამის უდიდესი მნიშვნელობა, მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა სახელმწიფოს მრავალმხრივ საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას თმელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის. საბჭოთა მხარემ ხაზი გაუსვა, რომ თავისი აქტიური საგარეო პოლიტიკით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წვლილი შეაქვს საერთაშორისო ასპარეზზე სოციალისტურ სახელმწიფოთა შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების საქმეში.

აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანებს.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს პოზიტიური ძვრების გამო, რომლებიც მოხდა ევროპაში დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და მშვიდობის განმტკიცების სასარგებლოდ. მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მნიშვნელობას მონაწილე ქვეყნების ხალხთა ძირეული ინტერესებისათვის, ევროპის კონტინენტის მშვიდობიანი მომავლისათვის. მხარეებმა დადასტურეს თავიანთი ის მტკიცე გადაწყვეტილება, რომ კონსტრუქციულად შეუწყონ ხელი თათბირის მუშაობის წარმატებასა და მალე დამთავრებას.

მხარეებმა გამოთქვეს აზრი იმის სასარგებლოდ, რომ ახლო-აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი საზავო კონფერენცია ეფექტიანად მუშაობდეს და დაამკვიდროს მტკიცე მშვიდობა და უშიშროება ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის.

მინისტრებმა დადებითად შეაფასეს სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის გამოცდილება და შეთანხმდნენ კვლავაც გაფართოონ კონსულტაციები და საქმიანი შეხვედრები სხვადასხვა დონეზე.

მოლაპარაკების დროს დადასტურდა მხარეთა შეხედულებებისა და პოზიციების სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ფ. პუიამ** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს **ა. ა. გრომიკოს** გადასცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიწვევა, რომ ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩავიდეს უნგრეთში. ამ მიწვევას ა. ა. გრომიკო მადლობით დაეთანხმა.

ლაგოსი

ნავთოგის სასწავლო ცენტრი —საბჭოთა კავშირის დახმარებით

ვაშინგტონი

ცდილობენ შეასუსტონ ენერგეტიკული კრიზისი

ᲓᲦᲔᲡ

12 იანვარი

ტელეტაიპის ლენტიდან...

ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲘ

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲒᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘ

კომპარტიათა სემინარი

ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘ, 12 იანვარი. (საკდესი). აქ მუშაობა დაიწყო ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიათა სემინარმა. სემინარის დღის წესრიგშია ინტელიგენციის მდგომარეობა კაპიტალისტურ სამყაროში. სემინარის მონაწილეები განიხილავენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ინტელიგენციის წარმომადგენელთა შემოქმედებასა და კვლევის თავისუფლებასთან დასავლეთში.

მის მუშაობაში მონაწილეობენ იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიის, ბელგიის, ესპანეთის, საბერძნეთის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების კომუნისტები.

თანამშრომლობა მტკიცდება

ლაბოსი, 12 იანვარი. (საკდესი). ნიგერიის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა ცნობას, რომ ნიგერიაში საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით დაიწყება ნავთობის სასწავლო ცენტრის შენებლობა, და მიიჩნია, რომ ეს არის ორი ქვეყნის მზარდი თანამშრომლობის კიდევ ერთი დადასტურება.

გაზეთი „დეილი ექსპრესი“, რომელიც წერს მომავალი შენებლობის შესახებ, აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებას, რომელიც ნიგერიის მთავრობამ დაუდო სრულიად საკავშირო გაერთიანება „ტეხნოექსპორტს“.

ამერიკული შეიარაღების ახალი მიწოდება

ნიუ-იორკი, 12 იანვარი. (საკდესი). ირანი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიასყიდის „ფ-14 ა“ ტიპის 80 რეაქტიულ ავიაგამანადგურებელს, რომელთა ხაერთო ღირებულება, სათადარიგო ნაწილების ღირებულების ჩათვლით, შეადგენს 900 მილიონ დოლარს, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“. პირველ 24 თვითმფრინავს ირანს მიაწვდიან 1976 წელს, დანარჩენებს კი — 1977 წელს.

ამასთან დაკავშირებით ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს მკვეთრად გაიზარდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან თანამედროვე შეიარაღების მიწოდება ირანში.

თურქეთი

პრეზიდენტის მიმართვა

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 12 იანვარი. (საკდესი). თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფაჰრი კორუთურქმა რადიოთი მიმართა ხალხს გაეიანურებულ სამთავრობო კრიზისთან დაკავშირებით.

ქვეყნის პოლიტიკურმა პარტიებმა, თქვა მან, ვერ მიაღწიეს ურთიერთგაგებას და ვერ შექმნეს მისაღები კოალიცია მთავრობის ჩამოყალიბების მიზნით. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ ვითარებაში კონსტიტუცია მას უფლებას არ აძლევს მოაწყოს პარლამენტის ახალი არჩევნები და ამ საკითხს გადაწყვეტენ სენატისა და მეჯლისის თავმჯდომარეები.

შეხვედრა ქსუანში

ᲙᲐᲘᲠᲝ, 12 იანვარი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ჩავიდა ქალაქ ახუანში. იგი შეხვდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს ანვარ სადათს, რომელიც იქ იმყოფება.

როგორც კაიროს ბიუროს წერს, მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემაა ეგვიპტისა და ისრაელის ჯარების განცალკევება.

ᲓᲦᲔᲡ

საბჭოთა მუსიკოსები კენიაში

გულთბილი შეხვედრა საბჭოთა ხელოვნების წარგზავნილებთან

ნაირობი, 11 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირისა და კენიის კულტურული თანამშრომლობის გეგმის შესაბამისად ნაირობში ჩამოვიდა საბჭოთა მუსიკოს-შემსრულებელთა ჯგუფი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის მევიოლინე იგორ პოლიტკოვსკისა და პიანისტების ალექსი ჩერკასოვისა და ევგენი ეშტეინის შემადგენლობით.

კენიის დედაქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა გულთბილი, გულმხურვალე შეხვედრა მოუწყვეს საბჭოთა ხელოვნების წარმოგზავნილთ. კენიის საზოგადოებრიობამ აღნიშნა, რომ საბჭოთა მსახიობების ვიზიტი ხელს შეუწყობს კულტურული კავშირურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას ორ ქვეყანას შორის და შემოქმედებითი კონტაქტების განვითარებას საბჭოთა კავშირისა და კენიის ხელოვნების წარმომადგენლებს შორის.

საბჭოთა შემსრულებელნი რამდენიმე დღის განმავლობაში გამართავენ კონცერტებს კენიის დედაქალაქისა და ქვეყნის სხვა ქალაქების მუსიკის მოყვარულთათვის. მუსიკოსთა რეპერტუარშია რუსული და საზღვარგარეთული კლასიკური მუსიკის ნაწარმოებნი, საბჭოთა კომპოზიტორების კონცერტები.

იუგოსლავი სტუმრების ვიზიტი

იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი ბორისლავ მილოშევიჩი, რომელიც რესპუბლიკის დედაქალაქში იმყოფება, ამასთან დაკავშირებით, რომ აქ გაიხსნა გამოფენა „სოციალისტური იუგოსლავია ოცდაათი წლის მანძილზე“, თერთმეტ იანვარს ეწვია თბილისის შმრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ბ. თ. ლობჟანიძეს. მილოშევიჩთან ერთად იყო თბილისის გამოფენის კომისარი ლონგინ გოსტიშა.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კიკვაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილეები შ. ა. თომბერიძე, ს. ტ. რიგვავა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. დ. კუპრავა, ქალაქის საბჭოს აღმასკომის საგარეო ურთიერთობის განყოფილების გამგე ი. ე. ნოდია.

(საქინფორმი).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. 11 იანვარი. (საკდესი). კუბის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება კუბა-ამერიკის ურთიერთობის შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ კუბის რევოლუციური თავრობის პოზიცია ამ საკითხში არაერთგზის ჩამოუყალიბებია კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს ფიდელ კასტროს. განცხადება შეგვახსენებს, რომ კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და რომ „ამიტომ კუბის მთავრობას არა აქვს საბაბი პირველმა გადადგას ნაბიჯი მისი აღდგენისათვის“. შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ, სანამ ამერიკის

კუბის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

მთავრობა გადაწყვეტს დაიწყოს რაიმე ოფიციალური აზრთა გაზიარება ამ პრობლემებზე, ჯერ უნდა შეწყდეს კუბის ბლოკადა. კუბა თანახმა არ იქნება სხვა პირობებში მოლაპარაკებაზე. ამერიკის მხარეც აგრეთვე მზად უნდა იყოს უარი თქვას ლათინური ამერიკის ქვეყნების ხუვერენულ საქმეებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩარევაზე.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ თქვა, აღნიშნულია განცხადებაში, „თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე არ შეიძლება იყოს ეანდარმთა როლი, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიკავა ლათინური ამერიკის მიმართ“.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ ნებისმიერი ორმხრივი მოლაპარაკების ცენტრში უნდა იდგეს გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზიდან ამერიკის შეერთებული შტატების წასვლის პრობლემა, რადგან კუბას უარი არ უთქვამს და არც იტყვის ეროვნული ტერიტორიის ამ ნაწილის მიმართ სუვერენიტეტზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ კუბა არ იქნება თანახმა განიხილონ მოლაპარაკებაზე რაიმე პრობლემები, რომლებიც ზიანს მიაყენებდნენ მის უფლებას — განახორციელოს საგარეო პოლიტიკა ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐ ᲑᲠᲔᲜᲐᲓᲐ ᲙᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲗᲐᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲐᲜᲢᲘᲠᲔ ᲬᲚᲘᲗᲐᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ. ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲞᲝᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ, ᲛᲔᲗᲝᲕᲖᲝᲑᲐ. ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲚᲔᲠᲬᲝᲑᲘᲡ, ᲑᲐᲛᲑᲘᲡ, ᲙᲐᲙᲐᲝᲡ, ᲑᲐᲜᲐᲜᲘᲡ, ᲥᲝᲥᲝᲡᲘᲡ ᲞᲐᲚᲛᲘᲡ ᲤᲠᲪᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲗ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲡᲢᲔᲜᲓᲘ ᲮᲝᲠᲮᲔᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝ.

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲓ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ

რკინიგზის კატასტროფები

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 12 იანვარი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში მკვეთრად გაიზარდა რკინიგზის კატასტროფების რიცხვი. ოფიციალური მონაცემებით, გასული წლის პირველ ცხრა თვეში ქვეყნის რკინიგზებზე მოხდა 6.830 კატასტროფა — 1,5 ათასით მეტი, ვიდრე 1972 წლის შესაბამის პერიოდში. კატასტროფების შედეგად დაიღუპა ან დასახიჩრდა 14,5 ათასი კაცი.

კატასტროფების ძირითადი მიზეზია რკინიგზის ლიანდაგების სავალალო მდგომარეობა.

იტალიელებენ ეროვნულ ბანძეულობას

ᲠᲝᲛᲘ, 12 იანვარი. (საკდესი). გასულ, 1973 წელს იტალიაში მოიპარეს ცნობილი მხატვრების 8.500-ზე მეტი ხუთათი, ქანდაკება, ანტიკვარული ნაკეთობა, ძვირფასი არქეოლოგიური ძეგლი. იტალიური გაზეთები ამ ციფრს რეკორდულს უწოდებენ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მან მნიშვნელოვნად გადააჭარბა ამ ბოლო წლების ყველა სავალალო „მიღწევას“ ამ დარგში.

ყველაზე ხშირად ქურდები ძარცვავენ ეკლესიებს, პატარა პროვინციულ მუზეუმებსა და კერძო კოლექციებს. ხშირია ქურდობის შემთხვევები სახელმწიფო მუზეუმებშიც. „ეროვნულ უბედურებას“ უწოდებს შექმნილ მდგომარეობას გაზეთი „უნიტა“.

იტალიის ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფალნი ცდილობენ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეიჭერონ ქურდობის ტალღა, რომელმაც წალეკა იტალიის მუზეუმები. შარშან 159 მილიონი ლირა გამოიყვეს სპეციალური „ავტომატური დარაჯების დასადგმელად. მაგრამ, როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ეს აშკარად არ არის საკმარისი, რომ შეაჩერონ მძარცველები.

ხანძარი ნავთობსარეწებზე

ᲠᲝᲛᲘ, 12 იანვარი. (საკდესი). მეთერთმეტე დღეა მძვინვარებს ხანძარი აბუ-რუდაისის ნავთობსარეწებში (სინის ნახევარკუნძული), რომლებიც ისრაელის ჯარებმა იგდეს ხელთ 1967 წლის აგვისტის დროს.

ისრაელმა ხელისუფლებმა ჟურნალისტები არ მიუშვეს ხანძრის ადგილას. ისინი ყოველნაირად ცდილობენ დაფარონ ხანძრის გაჩენის მიზეზები და მხოლოდ ბუნდოვნად აცხადებენ, რომ ხანძარი გაჩნდა „ტექნიკური უწესივრობის“ შედეგად.

ტელ-ავივის ოფიციალურმა სამხედრო წარმომადგენელმა წამოაყენა ახალი ვერსია, რომლის შესაბამისად ხანძარი გაჩნდა იმის გამო, რომ ისრაელის ჯარების სწრაფნელი სროლის დროს „დედამიწა-ჰაერის“ კლასის რაკეტა „ოკა“ შემთხვევით აფეთქდა ნავთობსარეწების რაიონში.

უცხოეთის პრესიდან

გაბონის პირველი გაზეთი

1974 ᲬᲚᲘᲡ 1 იანვრიდან გაბონის რესპუბლიკაში გამოსვლა დაიწყო ოთხ-ენოვანმა ყოველდღიურმა გაზეთმა. მანამდე გამოდიოდა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათის ბიულეტენები და უწყებები. ეკვატორიალური აფრიკის ხალხმწიფოს — გაბონის პირველი გაზეთი „იუნიონი“ („კავშირი“) წარმოადგენს საინფორმაციო-ილუსტრირებულ გამოცემას და იბეჭდება 14 გვერდზე. მას აფინანსებენ კერძო ფირმები. ამას იტყობინება „გაბონის რესპუბლიკის ოფიციალური უწყება“.

საქონლის ხორცი... თევზისაგან

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ რეიტერის სააგენტო იუწყება, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შეიმუშავეს ტექნოლოგიური პროცესი, რომლის დროსაც შესაძლებელია თევზისაგან ისეთი პროდუქტის მიღება, რომელიც გემოთი და ფერით არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი საქონლის ხორცისაგან. სამუშაოები წარმოებდა პერუს მთავრობის შეკვეთით, რამდენადაც პერუ მდიდარია თევზით და საქონლის ხორცის დიდ ნაკლებობას განიცდის, როგორც პერუს ქიმიური კოლეჯის ხელმძღვანელმა კლაუდიო კონსოლიმ განაცხადა, საქონლის ხორცის შემცვლელი შეიცავს გაცილებით მეტ ცილებს, ვიდრე ნატურალური ხორცი.

საოცარი „ეკიპაჟი“

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ კარნატაკის შტატის თავარი ქალაქის ბანგალორის მცხოვრებლებს ყოველდღე შეუძლიათ ნახონ არაჩვეულებრივი ხასხასობა. ყოველ დილით ზუსტად 9 საათსა და 30 წუთზე ქალაქის ერთ-ერთ გზაზე ხელთან მიდის მაიმუნი. რამდენიმე წუთის შემდეგ აქ მოვა ხოლმე ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების ძაღლი. მაიმუნი ამაყად შეაკუმპლება ზურგზე ოთხფეხა მეგობარს და ერთ საათს დასეირნობს ახლომდებარე რაიონებში. ეს საოცარი „ეკიპაჟი“ ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა გახდა და მრავალი ტურისტის ყურადღებას იპყრობს.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲓᲐᲜ

ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

გამოსავლის ეროვნული ძიება

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 11 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ნორვეგიისა და ჰოლანდიის, აგრეთვე იაპონიისა და კანადის მთავრობათა მეთაურებს გაუგზავნა წერილები, რომლებიც შეიცავენ წინადადებას მოიწვიონ 11 თებერვალს თათბირი საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე და განიხილონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იქნება ახლანდელი ენერგეტიკული კრიზისის შესუსტება.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ამ თათბირის ამოცანებში უნდა შედიოდეს ოპერატიული ჯგუფის შექმნა, რომელიც ჩამოაყალიბებს მოქმედების პროგრამას, და ნავთობის მომხმარებელ სახელმწიფოთა შეთანხმებული პოზიციის შემუშავება.

ამავე დროს რ. ნიქსონმა პირადი წერილები გაუგზავნა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრ მთავრობათა მეთაურებს. წერილებში განმარტებულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შეთავაზებული ნავთობის შემხმარებელ სახელმწიფოთა შეხვედრის მიზანი.

**პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა განაცხადა ამერიკის წინადადება და გაიზიარა ინფორმაციის ... ...

ორშაბათს, 14 იანვარს

ხვალ, 14 იანვარს, ა. ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში ქართული თეატრის დღის აღსანიშნავად გაიმართება საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რესპუბლიკური თეატრალური მხატვრების ნაშუშვრების გამოფენის გახსნა და სახელმძღ საღამო.

თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის მონაწილენი მოისმენენ მოხსენებებს „საქართველოს კპ. ცენტრალური კომიტეტის IX, X, XI პლენუმების გადწყვეტილებები და რესპუბლიკის თეატრების ამოცანები“ (მომხსენებელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ფგაძე), „ტრაგედიის ჟანრი ქართული განსაზღვრა“ (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი დ. ჯანელიძე), „რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილნი საქართველოს თეატრებში“ (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ე. გუგუშვილი), „დღეანდელი ქართული თეატრი საქართველოს საზღვრებს გარეთ“ (თეატრმცოდნე ი. თუხარელი).

სცენაზე თქმული მართალი სიტყვა

ხვალ, 14 იანვარს, ტრადიციულად აღინიშნება ქართული თეატრის დღე. ამ თარიღთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს და უკრაინის სხრ სახალხო არტისტი დიმიტრი ალექსიძე.

— ეს დღე ფრიად ღირსშესანიშნავია ჩვენი ხალხისათვის. სწორედ 14 იანვარს ჩაეყარა საფუძველი განახლებულ ქართულ რეალისტურ თეატრს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეროვნული თეატრის განახლება-აღორძინების აუცილებლობის ახრე ქართული მწერლობის წიაღში ამავე, იგივეთ ერისთავის, სახელთახარის დაკავშირებული. ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ეროვნული მწერლობა იყო და არის თეატრის ძთავარი დასაყრდენი საფუძველი და მასაზრდოებელი წყარო.

ილია ჭავჭავაძე აღტაცებული იყო, როცა ქართული თეატრი თავის სცენაზე თანამედროვეობის ამსახველ პიესებს დგამდა. დღეანდელი ცხოვრების სურათებს, — წერდა იგი, — ვეხახტავს ცაგარელი და ამ მხრივ მას ვერავინ წასწრებია. ხოლო მაშინ, როდესაც თეატრი უღალატებდა ხოლმე თავის ძირითად ხაზს, იგი საყვედურით შეახსენებდა — სამართლიანად ნატრულობენ ბევრი ჩვენთანაც, რომ ჩვენმა ქართულმა სცენამ, რაც შეიძლება ხშირად გაგვიტაროს თვალწინ ჩვენი ცხოვრების ხატი და ამ ხატში გაგვიხოროცილოს ახალი ზარით სავანი.

თანამედროვეობის აპოლოგია ილიასა და აკაკის მარტო თეორიული წერილებით როდი გამოუხატავთ. ამავე გრძნობით იყო გამსჭვალული ძველი მათი შემოქმედებაც. თეატრი ტოლსტოის ყველაზე დიდ კათედრად მიაჩნდა თანამედროვეთათვის. ხოლო ვერცენ მას საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხების გადაწყვეტის უმაღლეს ინსტანციას უწოდებდა.“ ასე დიდია თეატრის როლი. ეს ისტორიული მისია, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დასახეს, მემკვიდრეობით გადმოეცა ახალ საბჭოთა თეატრს.

ჩვენდა საამაყოდ უნდა ვთქვათ, რომ **ქართული საბჭოთა თეატრი იმთავითვე კვალში ჩაუდგა ცხოვრებას. ღრმად იგრძნო და მხატვრულად განაცადა ახალი ეპოქის მაჯისცემა, მისი ხუნთქვა, მისწრაფება.** თანამედროვეობის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული კ. მარჯანიშვილისა და ს. სახმეტელის მთელი შემოქმედება. კ. მარჯანიშვილის პირველი სპექტაკლებიდან ქართულმა საბჭოთა თეატრმა გაიარა სახელოვანი გზა, რომლის მანძილზეც იგი ცდილობდა ერთგული ყოფილიყო თავისი ფუძემდებლის ტრადიციებისა. პირადად ჩემთვის მარჯანიშვილისა და ახმეტელის ტრადიცია ეს არის უმთავრესად იდეა თეატრისა, რომელიც ახას ღრმად იდეური, თანამედროვეობის სულისკვეთებით გამსჭვალული და ამავე დროს ჭეშმარიტად ეროვნული თავისი ფორმით, რიტმებით, პლასტიკით, ტემპერაშენტით.

უნდა ვალიაროთ, რომ რამდენადაც უფრო მაღალია დღევანდელი ქართული თეატრის საერთო პროფესიული დონე, სამსახიობო კულტურა, იმდენად მაყურებლის ახალი მოთხოვნილების, მისი ინტერესთა გაკვლენო, კინოს და ტელევიზიის არსებობის პირობებში თეატრის წინაშე დგება სულ ახალი და ახალი ამოცანები. იცვლება აქტიორული შესრულების მანერა, სტილი. აუცილებელი ხდება დოლტატიზმის, ეკლექტიზმის, ინტაპროფესიონალიზმის და პროვინციალიზმის საბოლოოდ მოსპობა და დაძლევა, რადგან ამას ალარ ითმენს არც დრო, არც სცენა და არც ჩვენი საბჭოთა მაყურებელი.

თანამედროვე პირობებში არ შეიძლება მუშაობა განწყობილების მიხედვით, მკაცრი რეჟიმის, პროფესიული დოსტატების ყოველდღიური სრულყოფის გარეშე. აუცილებელია ზრუნვა თეატრის მუშაკთა იდეური, ინტელექტუალური დონის ამაღლებაზე. სწორედ საქართველოს თეატრალური საზოგადოების ძირითადი ამოცანაა ჩვენი თანამედროვე ქართული საბჭოთა თეატრის დონის შემდგომი ამაღლება. ამ საზოგადოებამ უველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ დაეხმაროს თეატრალურ კოლექტივებს მუშაობის სწორად წარმართვაში. **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი, სადაც ახალი დიდი ამოცანებია დასახული ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლისათვის, საპროგრამო უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის თეატრის ყველა მუშაკისთვისაც.**

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს შექმნას ექსპერიმენტალური თეატრის სტუდია, სადაც ჩვენი საუკეთესო რეჟისორები და მსახიობები მიიღებენ მონაწილერობას. ვფიქრობთ, ეს სტუდია ხელს შეუწყობს ახალი ნიჭიერი კადრების გამოვლენებას. საზოგადოებასთან გაიხსნება აგრეთვე დრამატურგიის კაბინეტი.

ბოლოს, მინდა გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მივულოცო ქართული თეატრის დღესასწაული რესპუბლიკის თეატრების ყველა მუშაკს. ვუსურვო მათ ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

სპექტაკლები და როლები

ორი პრემიერა

მოსკოვი წელზე მეტია მხოფლიო ხაოპერო თეატრების სცენებს ამშვენებს ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზები“. ამ ბრწყინვალე ნაწარმოების დადგმისა და შესრულების საუკეთესო ტრადიცია აქვს თბილისის ხაოპერო თეატრსაც. ამიტომაც ჩვენი მუსიკისმოყვარეული დიდი ინტერესით შეხვდნენ „ჯამბაზების“ ახალ დადგმას (დირიჟორი სხრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი თ. დიმიტრიადი, დამდგმელი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ეორდანია, მხატვარი ნ. იგნატოვი). პრემიერის დღეს სპექტაკლში მთავარ პარტიებს ასრულებდნენ სხრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე (ცანიო), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. ჭყონია (ნედა), კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის ხაოპერო თეატრის სოლისტი ვ. ტრაშინი (ტონიო).

რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნა შექსპირის ცნობილი ტრაგედია „მეფე ლირი“ (თარგმანი ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა).

სპექტაკლის დამდგმელი-რეჟისორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. ლორთქიფანიძე, რეჟისორი და მეფე ლირის როლის შემსრულებელია სხრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის გ. გუნიას.

სურათებზე: ზემოთ სცენა სპექტაკლიდან „მეფე ლირი“. ლირი — ა. ვასაძე, კორდელია — ზ. ბზირიშვილი; ქვემოთ ზ. ანჯაფარიძე ცანიოს როლში („ჯამბაზები“).

ბრძოლას იწყებენ პრეტენდენტები

ამ დღეებში, ხანგრძლივი (ბუენოს აიროსი), ბუენოს-აირესი (აბშ), პალმა-დე-მალიორკასა (ესპანეთი) და მოსკოვში დაწყებულ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩები. ერთმანეთს, როგორც ცნობილია, ხვდებიან სპასკი-ბირნი, კორჩნოი-მეკინგი, პეტროსიან-პორტიში და კარპოვი-პოლუგაევსკი. გამარჯვებულად ის ცხადდება, ვინც 3 გამარჯვებას მოიპოვებს.

დღეს გაგაცნობთ გამოჩენილი ექსპერტებისა და თვით პრეტენდენტების აზრს ამ მატჩებზე.

რობერტ ფიშერს თვითეულ მატჩს კონკრეტულად არ შეეხებია. მანილის (ფილიპინები) ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ უძლიერეს პრეტენდენტად სპასკის თვლის.

ბენ ლარსენმა ლონდონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, პეტროსიანი მოუვებს არა მარტო პორტიის, არამედ ყველა სხვა პრეტენდენტსაც და მსოფლიო პირველობის მატჩში ფიშერსაც დაამარცხებს.

მიხეილ ბოტვინიკი: „პრეტენდენტთა ასპარეზობის საბოლოო შედეგზე ლაპარაკი ძნელია. რამდენიმე მოხაწილე მაინც ინარჩუნებს გამარჯვების სერიოზულ შესაძლებლობებს. ყველაზე უფრო იოლი იქნებოდა გამარჯვებულთა შორის მსოფლიოს ექსჩემპიონების დასახელება. მაგრამ ჭადრაკი ყოველთვის გვთავაზობს ხიურპრიზს. რატომ არ უნდა ველოდეთ მას ახლა?

სპასკის, რა თქმა უნდა, აქვს შანსი კვლავ გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ ამისათვის მან ჯერ შესარჩევ შეჯიბრებში უნდა გაიმარჯვოს. პრეტენდენტების ასპარეზობაში გამარჯვების რეალური შანსები აქვთ პეტროსიანს, კორჩნოისა და კარპოვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლა ისინი არ ჩამოუვარდებიან სპასკის.

... ძალიან კარგად თამაშობს პორტიში, იგი, ეტყობა, ჩვენი მოჭადრაკეების მთავარი მეტოქეც იქნება“.

მიხეილ ტალ: „მისი (ბირნის) მატჩის შედეგი სპასკისთან, ჩემის აზრით, გადაწყვეტილია“. ტალი სპასკის გადამწყვეტ გამარჯვებას მოელის. „კორჩნოი-მეკინგის მატჩზე ლაპარაკი მიჭირს. რამდენად ჩინებულადაც ვიცნობ ერთ მაგალს (კორჩნოის), იმდენად ცუდად — მეორეს“. ამ მატჩში ტალი მაინც ერთგვარ უპირატესობას კორჩნოის ანიჭებს, პორტიშ-პეტროსიანის შეხვედრის შედეგი კი ბუნდოვნად მიაჩნია. „კარპოვ-პოლუგაევსკის მატჩში, კარპოვის ბრწყინვალე, სატურნირო წარმატებების მიუხედავად (ეს წარმატებები კი ნამდვილად ბრწყინვალე იყო!), მეტოქეთა შანსები ბუნდოვნად მეჩვენება. ყველაფერი თეორიულ დუელზეა დამოკიდებული — ვინ წარმართავს შეხვედრას. ამ ეტაპზე ეს ადამიანი ალბათ ალეხინია. ეს ერთ-ერთი ულამაზესი ბრძოლა, ალბათ, ბოტვინიკ-ალეხინ-ბოტვინიკ-ალეხინ-ბოტვინიკ-ალეხინ-